

## ჰენდაუთი 10.2: ლოგიკური სტრუქტურის ნიმუში

ლოგიკური სტრუქტურა (რომელსაც ლოგიკურ მოდელსაც უწოდებენ) წარმოადგენს პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების სტრუქტურის ვიზუალურ გამოსახულებას. მარტივად გამოყენების მიზნით, იგი შედგება პროექტის **შუალედური შედეგებისგან, საბოლოო შედეგებისა და გავლენისგან**. ქვემოთ წარმოდგენილი ლოგიკური სტრუქტურის ნიმუშზე ნაჩვენებია ამ სტრუქტურის ერთ-ერთი შესაძლო ფორმა, რომელიც ადაპტირებულია ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების რეალური პროექტიდან. უფრო რთული ლოგიკური სტრუქტურა ითვალისწინებს კონკრეტულ **ღონისძიებებს**, რომლებსაც მივყავართ ამ შედეგებამდე, აგრეთვე **მაჩვენებლებს**, რომლებიც განსაზღვრავს ღონისძიებების შესრულების ხარისხს ან იმ ფაქტს, თუ რამდენად წარმატებით მიაღწიეს მათ სასურველ ცვლილებას.

<b>შუალედური შედეგი:</b>	>	<b>საბოლოო შედეგები:</b>	>	<b>გავლენა:</b>
ონლაინ-ნარატივების მასალებთან დაკავშირებით შეიქმნა პრაქტიკოს სპეციალისტთა კომპლექსური სამუშაო ჯგუფი. ჯგუფის ფარგლებში წარმოდგენილია სხვადასხვა დაინტერესებული მხარე, სხვადასხვა სექტორისა და უწყების წარმომადგენლები.	>	<b>საბოლოო შედეგი 1:</b> გაიზარდა ხარისხი, თემების არჩევანი, საგანმანათლებლო და საინფორმაციო რესურსების ძირითადი ნარატივების გავლენა, რომლებიც წარმოდგენილია ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების შესახებ სამთავრობო პროგრამის ფარგლებში.	>	<b>ახალგაზრდობის გაძლიერებული მედეგობა ძალადობრივი ექსტრემისტების იდეების ონლაინ-პროპაგანდის მიმართ.</b>
ტარდება ონლაინ-კამპანია, რომლის მიზანია საინფორმაციო მასალების გავრცელება სამიზნე აუდიტორიის ფარგლებში, ძირითადად სოციალური ქსელების პლატფორმებისა და პოპულარული ონლაინ-არხების მეშვეობით.	>			
ადგილობრივ ენებზე მომზადდა ციფრული და მედია წიგნიერების მოდული და პედაგოგის ინსტრუმენტთა კრებული.	>	<b>საბოლოო შედეგი 2:</b> კიდევ უფრო გაძლიერდა ახალგაზრდა აუდიტორიის მხრიდან ექსტრემისტული და პროპაგანდისტული შინაარსის ონლაინ-მასალების ამოცნობისა და კრიტიკულად შეფასების უნარები.		
ჩატარდა სემინარი საშუალო სკოლის მასწავლებლებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგებისთვის (შემუშავებული ინსტრუმენტების გამოყენებით).	>			

რომელ შუალედურ შედეგებს მივყავართ უკეთეს საბოლოო შედეგებამდე? როგორ განაპირობებს მიღებული საბოლოო შედეგები დაგეგმილ გამოსავალს?

ქვემოთ წარმოდგენილია იგივე პროექტის სხვა შუალედური შედეგების მაგალითები. მონიშნეთ შესაბამისი საბოლოო შედეგის გრაფა, რომელსაც ყველაზე უკეთ შეესაბამება მითითებული შუალედური შედეგი:

შუალედური შედეგი:	საბოლოო შედეგი 1?	საბოლოო შედეგი 2?
14-18 წლისა და 18-28 წლის ასაკობრივ ჯგუფებში შემავალ ახალგაზრდებში ჩატარდა ციფრული და მედია წიგნიერების კუთხით არასაკმარისი უნარების შეფასება.		
შემუშავებულია უწყებათაშორისი მედია-გეგმა ნარატივებთან დაკავშირებით და ინტეგრირებულია ეროვნულ სამოქმედო გეგმაში.		
მომზადდა სიუჟეტები, რომლებშიც სხვადასხვა ფორმატით არის წარმოდგენილი კონტრნარატივები და ალტერნატიული ნარატივები.		
ჩატარდა ორდღიანი „ტრენერთა ტრენინგი“ ახალგაზრდებთან მუშაობის გამოცდილების მქონე მინიმუმ 6 ტრენერისთვის.		